ელენე ძიმისტარიშვილი

PR და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის მედიის სკოლა
SMK გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ლიეტუვა

ძალიან მადლიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიმეღო გაცვლით პროგრამაში და გამეტარებინა გაზაფხულის სემესტრი ვილნიუსში - ქალაქში, რომელმაც დაუვიწყარი მოგონებები დამიტოვა და რომელიც, დარწმუნებული ვარ, მუდამ ჩემი მეორე სახლი იქნება. იქ გატარებული დრო იყო არა მხოლოდ აკადემიურად ღირებული, არამედ ჩემს ცხოვრებაში გარდამტეხი ეტაპიც.

ლექციების პროცესი იყო საკმაოდ საინტერესო და ინოვაციური. მომეცა შანსი, მქონოდა ურთიერთობა უცხოელ პროფესორებთან და შემეცნო ის სწავლის კულტურა, რომელსაც ისინი იყენებენ.

თუმცა, სწავლასთან ერთად, ყველაზე ღირებული და დაუვიწყარი მაინც ის ადამიანური კავშირებია, რომლებიც იქ შევიძინე. მეგობრები სხვადასხვა ქვეყნიდან, საერთო მოგონებები, ემოციები - ეს არის ის, რაც ყოველდღე მახსენებს, რამდენად იღბლიანი ვარ. ეს კავშირები არა მხოლოდ იქაური ცხოვრების ნაწილია, არამედ დღემდე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჩემს ცხოვრებაში.

მოგზაურობა, კულტურის გაცნობა, დაუვიწყარი მოგონებები - ეს ყველაფერი Erasmus+ -ის განუყოფელი ნაწილია და, ამავდროულად, ის შეუცვლელი გამოცდილება, რომელიც ყოველთვის ნოსტალგიას მომგვრის.

წინა სემესტრის შემდეგ ვგრძნობ, რომ ვარ გაზრდილი, მეტად დამოუკიდებელი, ძლიერი და კიდევ უფრო მოტივირებული. Erasmus+ -მა მომცა ის უნარები, რომლებიც აუცილებელია როგორც პროფესიული, ისე პირადი განვითარებისთვის.

აუცილებლად ვურჩევ სტუდენტებს, მიიღონ ეს გამოცდილება, რომელიც მათ ცხოვრებას შეცვლის და მუდამ მეხსიერებაში დარჩებათ!